

ადმინისტრაციული ორგანოების მიმართ „კონკურენციის შესახებ“  
საქართველოს კანონით დაწესებული აკრძალვები



ქეთევან ჯინჭარაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კერძო  
(ბიზნეს) სამართლის ფაკულტეტზე სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის  
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ზურაბ გველესიანი, სამართლის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ქეთევან ჯინჭარაძე

თარიღი: 27.01.2025

## აბსტრაქტი

**შესავალი:** ჯანსაღი კონკურენცია ქვეყნის ეკონომიკური წინსვლის ერთ-ერთი ძირითადი მამოძრავებელი ძალაა, ის ასტიმულირებს ინოვაციებს, საქონლისა და მომსახურების ფართო არჩევანს, მაღალ ხარისხს და დაბალ ფასებს, რაც საბოლოოდ აისახება ქვეყნის კეთილდღეობაზე. თავის მხრივ კი კონკურენციულ-სამართლებრივ ურთიერთობებში ერთ-ერთ საკვანძო როლს სახელმწიფო ასრულებს. სწორედ ამიტომ, კვლევის მიზანს კონკურენციის სამართლის ქართულ მოწესრიგებაში სახელმწიფოსადმი დაწესებული აკრძალვების შესწავლა წარმოადგენს.

**მეთოდოლოგია:** აღწერილობითი, შედარებით-სამართლებრივი, შეფასებისა და ანალიტიკური მეთოდების საფუძველზე შესწავლილია კვლევის თეორიული და პრაქტიკული ასპექტები. **შედეგები:** კვლევის შედეგად დადგინდა, რომ პოზიტიური ცვლილებების მიუხედავად ქართული კანონმდებლობა ითვალისწინებს კონკურენციის ისეთ მოწესრიგებას, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოებს ანიჭებს ფართო დისკრეციას და აძლევს შესაძლებლობას თავიდან აიცილოს აღნიშნულ სფეროში მის მიმართ დაწესებული ნეგატიური ვალდებულებების შესრულება. შესაბამისად, გამოიკვეთა რიგი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებისა და არსებული რეგულაციის აღსრულების ეფექტურობის გაზრდის საჭიროება.

**დასკვნა/რეკომენდაციები:** გამოვლენილი პრობლემური საკითხების გადაჭრის მიზნით, მნიშვნელოვანია საკანონმდებლო დონეზე გაიზარდოს საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს უფლებამოსილების ფარგლები, გათვალისწინებული იქნეს ადმინისტრაციული ორგანოების დისკრეციის ჩარჩოებში მოქცევისა და სახელმწიფოს მხრიდან კონკურენციის დაცვის მყარი მექანიზმები.

**საძიებო სიტყვები:** კონკურენცია, კონკურენციის სამართალი, სახელმწიფოსადმი დაწესებული აკრძალვები, სახელმწიფო დახმარება, სახელმწიფო შესყიდვები

## ABSTRACT

**Introduction:** Healthy competition is one of the main drivers of economic progress, it stimulates innovation, choice of goods, high quality and low prices, which ultimately affects the prosperity of the country. As State plays a key role in competition law, the goal of this study is to examine the restrictions imposed on the state within the framework of Georgian competition law.

**Methodology:** The research explores theoretical and practical aspects based on descriptive, comparative, evaluative, and analytical methods.

**Results:** The study reveals that despite positive amendments, still Georgian legislation grants administrative bodies broad discretion, allowing them to evade the fulfillment of negative obligations imposed in this area. Accordingly, the need to implement a number of legislative amendments and increase the effectiveness of the enforcement of existing regulations was identified.

**Conclusion/Recommendations:** To address the identified issues, it is crucial to expand the scope of authority of the Georgian Competition and Consumer Protection Agency at the legislative level. Moreover, administrative bodies' discretion should be limited within defined frameworks, and strong mechanisms for protecting competition by the state should be ensured.

**Keywords:** competition, competition law, restrictions on the state, state aid